



საქართველოს პრეზიდენტის იმპრეზენტის
ისტორიული და დაუსაბუთებელი პროცესი
(სამართლებრივი შეფასება)

1. შესავალი და ანალიზის მიზანი	4
2. დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია:	4
2.1. საგარეო ურთიერთობების წარმოების კონსტიტუციური არქიტექტურა: მოკლე განმარტება	4
2.2. საგარეო პოლიტიკის განხორციელების მოდელი: კომპეტენციათა გამიჯვნის კონსტიტუციური ლოგიკა/ლეგიტიმური მიზანი	5
2.3. საქართველოს პარლამენტის 80 წევრის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური წარდგინების “ალოგიკური ლოგიკა”	7
2.4. სახელმწიფო მეთაურს კონსტიტუცია იზოლაციაში არ აქცევს: პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობის გამომხატველი და ნაგულისხმევი უფლება	8
2.5. მთავრობის კონსტიტუციური კომპეტენცია: საგარეო პოლიტიკის განხორციელება vs. გავლენა პოლიტიკაზე	9
2.6. როდის (არ) უნდა მიმართოს საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობას საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობისთვის	10
3. არის თუ არა ყველა ტიპის კონსტიტუციის დარღვევა იმპიჩმენტის საფუძველი?	12
3.1. იმპიჩმენტის არსი: კონსტიტუციის დარღვევა vs. კონსტიტუციის დარღვევა იმპიჩმენტის მიზნებისთვის	12
3.2 იმპიჩმენტისთვის აუცილებელი კონსტიტუციის დარღვევის შესაძლო კრიტერიუმები	14
3.2.1 კონსტიტუციის დარღვევის სერიოზულობა	16
3.2.2 კონსტიტუციის დარღვევის განზრახვა თუ დარღვეული ტრადიცია/პოლიტიკური შეთანხმება	18
3.3.3 ზიანი სახელმწიფოსა და ინსტიტუტს	20
3.3.4 პრეზიდენტის იმპიჩმენტი - განსხვავებული სტანდარტი	21
3.3.5 “საზოგადოებრივი ნდობის ღალატი”	21
დასკვნა	22

1. შესავალი და ანალიზის მიზანი

2023 წლის 30 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია,¹ რომ სალომე ზურაბიშვილი 31 აგვისტოს გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში შეხვედრებით იწყებდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად ევროპულ ლიდერებთან შეხვედრებს.

აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს მთავრობის განმარტება,² რომლის თანახმად, პრეზიდენტმა მთავრობას აღნიშნულ ვიზიტებთან დაკავშირებით წინადადებით 2023 წლის 12 ივლისს მიმართა და 3 აგვისტოს მიიღო უარი. საქართველოს მთავრობის ამ განცხადების შემდგომ, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევაზე. შედეგად, 2023 წლის 14 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა კონსტიტუციური წარდგინება N1797³, რომლითაც მმართველი პარტიის 80 დეპუტატი მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, შეიმუშაოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის დასკვნა.

ამ ანალიზის მიზანია, საქართველოს კონსტიტუციური დებულებების, საკონსტიტუციო სასამართლოს რელევანტური პრაქტიკის, ისევე, როგორც საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე პასუხი გასცეს ორ ძირითად კითხვას: პირველი, დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია და მეორე, თუ დაარღვია, არის თუ არა დარღვევა იმ სიმძიმის, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს იმპიჩმენტის პროცედურის პოლიტიკური ნაწილისთვის მწვანე შუქის ანთების შესაძლებლობას.

2. დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია:

2.1. საგარეო ურთიერთობების წარმოების კონსტიტუციური არქიტექტურა: მოკლე განმარტება

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი ადგენს სახელმწიფო მოწყობის სისტემას, განსაზღვრავს ხელისუფლების დანაწილების მოდელს, მათ განმხორციელებელ ორგანოებსა და ამ ორგანოთა კომპეტენციას ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მართვის თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუცია ხელისუფლების დანაწილების მოდელად გვთავაზობს საპარლამენტო რესპუბლიკას, რომლის მახასიათებელია სახელმწიფოს მეთაურის - პრეზიდენტის, ნეიტრალური არბიტრის

¹ პრესრელიზი, სალომე ზურაბიშვილი საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად ევროპულ ლიდერებთან შეხვედრებს იწყებს. [იხ. ლინკი](#)

² საქართველოს მთავრობის განმარტება, [იხ. ლინკი](#)

³ საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური [წარდგინება](#) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხზე

როლი. შესაბამისად, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში წამყვან როლს ინაწილებენ პარლამენტი და მთავრობა. ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი არ ერევა საშინაო ან საგარეო პოლიტიკაში, თუ იგი იცავს საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუცია ცენტრალურ როლს ანიჭებს საქართველოს პარლამენტს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი “განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს...”. საგარეო პოლიტიკის წარმოების კონსტიტუციური არქიტექტურის განმსაზღვრელ შემდგომ ძირითად ნორმას წარმოადგენს ძირითადი კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი. ხსენებული მუხლის მიხედვით, “საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას”. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუცია ასახელებს მხოლოდ ორ თანამდებობის პირს, რომელსაც სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლის უფლებამოსილებით აღჭურავს. ესენია, საქართველოს პრეზიდენტი⁴ და საქართველოს პრემიერ-მინისტრი⁵. ქვემოთ განხილულია პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობას შორის სხვაობა და ლიმიტები. კონსტიტუციის მითითებული ნორმები აყალიბებს ძირითად არქიტექტურას, რომლის უკან დგას მყარი კონსტიტუციური ლოგიკა და რომელიც დაგვეხმარება გავცეთ პასუხი პირველ მთავარ კითხვას: დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია გერმანიაში, ბრიუსელსა და საფრანგეთში ვიზიტის განხორციელებით.

2.2. საგარეო პოლიტიკის განხორციელების მოდელი: კომპეტენციათა გამიჯვნის კონსტიტუციური ლოგიკა/ლეგიტიმური მიზანი

ნებისმიერი კონსტიტუციური დანაწესის მიღმა, განსაკუთრებით, როდესაც ეს კონსტიტუციურ კომპეტენციებს შეეხება, არსებობს გარკვეული კონსტიტუციური ლოგიკა, რომელიც როგორც წესი ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარეობს.

საგარეო პოლიტიკის შემთხვევაში გასათვალისწინებელი გარემოებებია, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის მკაცრად შეზღუდული როლი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით; მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა/ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე განახორციელოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ხალხის ნების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 49, პუნქტი 3: “საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.”;

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 55, პუნქტი 3” “პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში”;

“მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე” და მას ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მაგალითად, მთავრობას პარლამენტმა შეიძლება გამოუცხადოს უნდობლობა, თუ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შეუთავსებელი იქნება პარლამენტის მიერ განსაზღვრულ საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებთან. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტს უზღუდავს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში სრულფასოვნად ჩართულობას, რათა არ დაიკარგოს და არ დაკნინდეს მისი, როგორც ნეიტრალური არბიტრის როლი საქართველოს კონსტიტუციურ სისტემაში.

საგარეო პოლიტიკაში ანგარიშვალდებულების ეს სისტემა კარგად ჩანს ევროკავშირში ინტეგრაციის გაცხადებულ საგარეო პრიორიტეტში. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა რეფერენდუმით დაადასტურეს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სურვილი. ეს სურვილი თანმიმდევრულია, რაც ჩანს ბოლო წლებში ჩატარებული გამოკითხვებით, სადაც ევროკავშირში გაწევრიანების მხარდამჭერთა რაოდენობა 80%-90% ფარგლებში მერყეობს.⁶ ხალხის ნების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფოს კონსტიტუციაში განერა საგარეო პოლიტიკის უმაღლესი პრიორიტეტი - საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია.⁷

მთავრობას კონსტიტუცია ავალებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას იმგვარად, რომ საქართველო გაწევრიანდეს ევროკავშირში. თუ მთავრობა ამ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, ან იქნება არაეფექტური მისი შესრულების გზაზე, პარლამენტს ექნება შესაძლებლობა მას დააკისროს პოლიტიკური პასუხისმგებლობა - გამოუცხადოს უნდობლობა და შეცვალოს მთავრობის სრული შემადგენლობა. თუმცა, პარლამენტს იგივე უფლებამოსილებები არ გააჩნია პრეზიდენტთან მიმართებით. სხვაგვარად, კონსტიტუცია ვისაც აკისრებს კომპეტენციას, იქვე ითვალისწინებს ამ კომპეტენციის მატარებელი პირის პასუხისმგებლობის ფორმასაც. როგორც წესი, რამდენადაც მაღალია შესაბამისი პირის პოლიტიკური დისკრეცია, კონკრეტული კომპეტენციის განხორციელებისას, იმდენად მოქნილია პასუხისმგებლობის ფორმაც. დაწყებული წმინდა სამართლებრივიდან, დასრულებული წმინდად პოლიტიკურ პასუხისმგებლობამდე.

განსახილველ შემთხვევაში, იმისთვის, რომ მთავრობას სრულად დაეკისროს პასუხისმგებლობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმატება/წარუმატებლობისთვის, აუცილებელია მას შეეძლოს ამ პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოება. სხვაგვარად, პრეზიდენტს და არც ერთ სხვა კონსტიტუციურ ორგანოს არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩაერიოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის არჩეულ კურსში და

⁶ იხ. [სტატისტიკა](#)

⁷ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი: “კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად”.

განახორციელოს ქმედებები, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება დაკვალიფიცირდეს საგარეო პოლიტიკის განხორციელებად.

ამავე დროს, პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია პარტიული ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. იგი არ უნდა იქცეს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის განმხორციელებელ პირად. ეს ხელს შეუშლის და დააქინებს პრეზიდენტის, როგორც ნეიტრალური არბიტრის როლს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება საერთოდ არ სვამს საკითხს, პრეზიდენტის საგარეო მოქმედებები რამდენად თავსებადი იყო მის კონსტიტუციურ სტატუსთან. კონსტიტუციური წარდგინება კონცენტრირებულია მხოლოდ კონსტიტუციის 52-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტის დარღვევაზე, რომელიც საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფორმალურ მხარეს აწესრიგებს (რა შემთხვევებში უნდა მოითხოვოს პრეზიდენტმა თანხმობა საგარეო ურთიერთობების წარმოებისას).

2.3. საქართველოს პარლამენტის 80 წევრის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური წარდგინების “ალოგიკური ლოგიკა”

საქართველოს პარლამენტის 80 წევრის მიერ შეტანილი N1797 წარდგინების მთელი სამართლებრივი ხაზი ემყარება კონსტიტუციის 49-ე მუხლის მესამე პუნქტს, რომლის თანახმად, “საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში”. კონსტიტუციური წარდგინების ავტორები ასკვნიან, რომ პრეზიდენტი არღვევს 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი “მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან”.

ამ ლოგიკის “ალოგიკურობა” მდგომარეობს შემდეგში: იმისთვის, რომ 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი პრეზიდენტმა დაარღვიოს, აუცილებელია არსებობდეს საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის წარმომადგენლობის ზოგადი უფლება. პრეზიდენტის სტატუსის დამდგენი ნორმის გარდა, საგარეო წარმომადგენლობის ზოგად უფლებაზე არც ერთი სხვა ნორმა ტექსტობრივად არ მიუთითებს. შესაბამისად, წარდგინების ავტორთა პოზიციიდან გამომდინარეობს, რომ 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის გარეშე, პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობის უფლება საერთოდ არ იარსებებდა. მეტი სიცხადისთვის, წარმოვიდგინოთ 52-ე მუხლის პირველი პუნქტი კონსტიტუციაში არ არსებობს. მმართველი პარტიის ლოგიკით, ასეთ პირობებში, პრეზიდენტს საერთოდ აღარ ექნება არანაირი უფლებამოსილება საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით. ამ ლოგიკით, 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი იქცევა არა

პრეზიდენტის შემზღვეველ, არამედ პრეზიდენტის აღმჭურველ ნორმად.⁸ შესაბამისად, თუ კონსტიტუციური წარდგინების ამ ხაზს გავეყვებით პრეზიდენტი ვერცერთ შემთხვევაში ვერ დაარღვევს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტს. მაგალითად, თუ პრეზიდენტი საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერს მთავრობის თანხმობის გარეშე, იგი დაარღვევს არა კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტს, არამედ კონსტიტუციის 54-ე და 55-ე მუხლების შესაბამის ნორმებს და ა.შ. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური წარდგინება ავითარებს მისსავე საწინააღმდეგო ლოგიკას.

ამდენად, იმისთვის რომ გავცეთ პასუხი იმპიჩმენტთან დაკავშირებულ პირველ მთავარ სამართლებრივ კითხვას - შეიქრა თუ არა თუ პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში, ჩვენ თავს არ შევბოჭავთ მხოლოდ მმართველი პარტიის მიერ მოყვანილი ლოგიკით, წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობის დასრულება ამ ეტაპზევე მოგვინევს.

2.4. სახელმწიფო მეთაურს კონსტიტუცია იზოლაციაში არ აქცევს: პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობის გამოსატყუი და ნაგულისხმევი უფლება

ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი მათ შორის, საპარლამენტო რესპუბლიკებში, საერთაშორისო ურთიერთობებში წარმომადგენს შესაბამის ქვეყანას და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ არ ესაჭიროებათ. მნიშვნელოვანწილად სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტრადიციის გამოძახილია საქართველოს კონსტიტუციის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სტატუსის დამდგენი ტერმინის “წარმომადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში” მოხსენიება (კონსტიტუციის 49-ე და 55-ე მუხლების მესამე პუნქტები).

ზოგადად, არ არის მართებული, რომ პირის სტატუსი არ მიუთითებს მის უფლებამოსილებაზე. კონსტიტუციის ჩანაწერი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან მიმართებით საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობის თაობაზე იდენტურია. არ არის მართებული იმის ვარაუდი, რომ პრემიერ-მინისტრის სტატუსი განსაზღვრავს საგარეო წარმომადგენლობის უფლებამოსილებას, ხოლო პრეზიდენტის არა (ეს არ ნიშნავს, რომ ორივეს ერთნაირი უფლებამოსილება აქვს საგარეო ურთიერთობებში).

ამასთანავე, პრეზიდენტს ისევე, როგორც პრემიერ-მინისტრს საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენის უფლებამოსილება ნაგულისხმევად გააჩნიათ.

⁸ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ი” ქვეპუნქტის თანახმად პრეზიდენტი ახორციელებს მითითებულ მუხლსა და “კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.” ეს ნიშნავს, იმას რომ პრეზიდენტის ნებისმიერ უფლებამოსილების სათავე შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუცია.

ეროვნული კონსტიტუციები ვერ შეცვლის საერთაშორისო წესრიგს, მაგრამ მათ შეუძლიათ აღიარონ ეს უფლება და მოაწესრიგონ იგი ეროვნული კონსტიტუციური სისტემის შესაბამისად და, აქედან მომდინარე, დაეხმონ ქვეყნის შიგნით გადაწყვიტონ.

პრეზიდენტის არაერთი უფლება, რომელთა განხორციელებაც სრულად პრეზიდენტის ნებაზეა დამოკიდებული⁹, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. პრეზიდენტს შეუძლია, ფაქტობრივად ყველა მისი კომპეტენცია გამოიყენოს საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, თუმცა, ცხადია, რომ კონსტიტუცია ყველა ამ ქმედებაზე მთავრობის წინასწარ თანხმობას არ ითხოვს.

სანიშნოდ, პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ძეზნილ პირს. აღნიშნული, ბუნებრივია მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და ძალიან რთულ ვითარებაში ჩააყენებს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცა ამ ქმედებით პრეზიდენტი ვერ დაარღვევს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტს და არც მთავრობის კომპეტენციაში შეიჭრება. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი შეიძლება გადასაყენებელი იქნეს თანამდებობიდან, თუმცა არა იმის გამო, რომ თანხმობა არ აიღო საქართველოს მთავრობისაგან.

2.5. მთავრობის კონსტიტუციური კომპეტენცია: საგარეო პოლიტიკის განხორციელება vs. გავლენა პოლიტიკაზე

უდავოა, რომ მთავრობას გააჩნია საგარეო პოლიტიკის განხორციელების კომპეტენცია საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

თუმცა ჩვენ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ საგარეო პოლიტიკის განხორციელება და საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა, რომელმაც შეიძლება გააუარესოს ან გააუმჯობესოს აღმასრულებელი ხელისუფლების მდგომარეობა. ეს გარემოებები კი შესაძლებელია მოხდეს როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ. საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე პოლიტიკური ტვირთის აღება სწორედ ამგვარი ცვლადების პროგნოზირებას გულისხმობს, რათა ეფექტურად იქნეს მიღწეული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. ამგვარი გარემოებების გაუთვლელიობა კი, როგორც წესი, არა მთავრობის კომპეტენციაში ჩარევაზე, არამედ მის არაეფექტურობაზე მიუთითებს.

საგარეო პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, მთავრობის კომპეტენციაში ჩარევის დასაბუთებისთვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა საგარეო

⁹ მიმართოს ხალხს და ისაუბროს საგარეო პოლიტიკაზე, მოითხოვოს საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმება მათ შორის საგარეო პოლიტიკური არგუმენტებით, დაადოს ვეტო კანონის პროექტს, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს და ა.შ.

ურთიერთობებში, წარმომადგენლობის რომელიმე საერთაშორისო პოლიტიკის, რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენებით განახორციელა იმგვარი ქმედება, რომელმაც მთავრობას დააკისრა დამატებითი ტვირთი ან ხელი შეუშალა მის სამოქმედო გეგმას კონკრეტული საგარეო მიზნის მისაღწევად, ანდა ქვეყნის სახელით აიღო რაიმე ტიპის სამართლებრივი თუ არასამართლებრივი ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების არსენალში მოიპოვება არაერთი მექანიზმი, რომლითაც სახელმწიფოს მეთაურს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტის ექსკლუზიური კომპეტენციაა. ბუნებრივია პრეზიდენტს ევალება ეს მექანიზმები გამოიყენოს იმგვარად, რომ ხელი არ შეუშალოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევას. ამ ინსტრუმენტების გამოყენება არ საჭიროებს მთავრობის არც წინასწარ არც შემდგომ თანხმობას, თუმცა მათი არასწორი გამოყენება მაინც შეიძლება გახდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი.

2.6. როდის (არ) უნდა მიმართოს საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობას საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობისთვის

ცხადია, რომ პრეზიდენტის კონსტიტუციაში მითითებული და მასში ცხადად მოაზრებული უფლება, წარმოადგინოს საქართველო საგარეო ურთიერთობებში შეზღუდულია კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტით. ამ შეზღუდვის სრული მოცულობით ამომწურავად განმარტება ალბათ შეუძლებელია, თუმცა, ნათელია, მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს იმ ფორმით, როგორც ის ბოლო 4 წელია გამოიყენება.

უფრო კონკრეტულად, IDFI-მ გამოითხოვა და შეისწავლა 2019 წლის იანვრიდან 2023 წლის 16 აგვისტომდე საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის გამოყენების პრაქტიკა. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობას საგარეო ვიზიტის განხორციელების თხოვნით 79-ჯერ მიმართა. 2023 წლის 28 აპრილამდე, თითქმის 5 წლის განმავლობაში პრეზიდენტის მიერ გაგზავნილი თითქმის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა¹⁰ გარდა ერთისა. ხოლო 2023 წლის აპრილის შემდგომ შეტანილი მოთხოვნებიდან ყველა მათგანის დაკმაყოფილებაზე მთავრობამ უარი განაცხადა (სულ 11). ნებართვაა მოთხოვნილი ყველა ვიზიტზე საზღვარგარეთ, დაწყებული შვეიცარიაში ნიკო ფიროსმანის გამოფენის გახსნის ცერემონიაზე დასწრებიდან, დასრულებული ევროპის საბჭოს თავჯდომარე ქვეყნის სახელით სიტყვით გამოსვლით და ამ რანგში ოფიციალური შეხვედრის გამართვით.¹¹ ფაქტია, მთავრობა და პრეზიდენტი საერთოდ არ მიჯნავდნენ ვიზიტის დანიშნულებას, მათთვის მთავარი იყო ფორმალური - იყო თუ არა ვიზიტი საზღვარგარეთ.

¹⁰ ექვს შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტმა უკან გაითხოვა მოთხოვნა საერთაშორისო ვიზიტზე;

¹¹ თანხმობები და ვიზიტების გადამუშავებული მონაცემები. [იხ. ბმული](#)

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩატარებულ იდენტურ ღონისძიებებზე თანხმობა არ არის მოთხოვნილი. ქვეყნის დატოვება ვერ იქნება კონსტიტუციური კომპეტენციის გამყოფი ზღვარი საგარეო ურთიერთობებში. თუ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისთვის რომელიმე მოქმედებას სჭირდება მთავრობის თანხმობა, ეს თანხმობა საჭიროა იმის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტი ფიზიკურად საქართველოში იმყოფებოდა თუ საქართველოს გარეთ. სანიმუშოდ, საქართველოს პრეზიდენტის საქართველოში შეხვდა შარლ მიშელს¹² და ბევრად ახლოს იყო იმ ქმედებასთან, რომელიც საქართველოს მთავრობის თანხმობას საჭიროებს, ვიდრე შვეიცარიაში ნიკო ფიროსმანის გამოფენის გახსნაზე დასწრებაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების ზღვარს მისი ფიზიკური ადგილმდებარეობა არ განსაზღვრავს.

საქართველოს პრეზიდენტმა ვიზიტი განახორციელა გერმანიაში, საფრანგეთსა და ბრიუსელში. ვიზიტების შემდგომ, ორივე ქვეყნის სახელმწიფო მეთაურმა, ისევე როგორც შარლ მიშელმა, საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს. ქვეყნები არიან საქართველოს პარტნიორები, ხოლო ევროკავშირში განწევრიანება ჩვენი კონსტიტუციის გაცხადებული პრიორიტეტი, რომელიც არც მთავრობის მიერაა განსაზღვრული და არც მისი შეცვლა შეუძლია. არაფერი მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ამ ვიზიტებით საქართველომ რაიმე დამატებითი სამართლებრივი თუ არასამართლებრივი ვალდებულება აიღო, ან პრეზიდენტმა განახორციელა რაიმე ქმედება, რითაც მთავრობას შეუშალა ხელი ევროინტეგრაციის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.

“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 31-ე პრიმა მუხლის მე-5 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებმა უნდა წარადგინონ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევას. ამგვარი მტკიცებულებები კონსტიტუციურ წარდგინებაში მოყვანილი არ არის, არც ინფორმაციის საჯარო წყაროებში მოიპოვება.

წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ დაურღვევია საქართველოს კონსტიტუცია.

3. არის თუ არა ყველა ტიპის კონსტიტუციის დარღვევა იმპიჩმენტის საფუძველი?

¹² პრესრელიზი, შარლ მიშელისა და სალომე ზურაბიშვილის შეხვედრა, [იხ. ბმული](#)

3.1. იმპიჩმენტის არსი: კონსტიტუციის დარღვევა vs. კონსტიტუციის დარღვევა იმპიჩმენტის მიზნებისთვის

იმპიჩმენტი წარმოადგენს პასუხისმგებლობის დაკისრების პოლიტიკურ-სამართლებრივ მექანიზმს. კერძოდ, გულისხმობს კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით პირის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურას. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმპიჩმენტის წესით გადაყენებას ექვემდებარება 6 სხვადასხვა თანამდებობის მქონე სახელმწიფო მოხელე, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტი.

იმპიჩმენტი, თავისი შინაარსით, წარმოადგენს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სამართლებრივ ინსტრუმენტს. სხვაგვარად, განსხვავებით, მაგალითად, მთავრობის წევრის გადაყენებისა, მთავრობის მიმართ ნდობა-უნდობლობის გამოცხადებისგან, იმპიჩმენტი მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე ვერ იქნება დამოკიდებული, არამედ უნდა ჰქონდეს კონკრეტული წინაპირობები. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ამგვარი მატერიალური წინაპირობა შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა.

საქართველოს კონსტიტუცია იმპიჩმენტის სამართლებრივ საფუძვლად ასახელებს “კონსტიტუციის დარღვევას”, მაგრამ იმპიჩმენტის მიზნებისთვის ნებისმიერი დარღვევა არ შეიძლება ქმნიდეს იმპიჩმენტის ობიექტის თანამდებობიდან გადაყენების წინაპირობას. ტექნიკურად, საქართველოს კონსტიტუციური ორგანოები პერიოდულად არღვევენ კონსტიტუციას, მაგალითად, საქართველოს პარლამენტი იღებს კანონებს, რომლებიც, შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის გამო უქმდება. საქართველოს მთავრობის ასეულობით სამართლებრივი აქტი, რომელსაც ყოველდღიურ რეჟიმში გამოსცემს შეიძლება ბადაბდეს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის საფუძვლებს. საილუსტრაციოდ, 2020 წლის შემდგომ, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მთავრობამ დადასტურებულად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავის წაგებით) მინიმუმ 33-ჯერ დაარღვიეს კონსტიტუცია. თუ გავყვებით ლოგიკას, რომ კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა თვითკმარია საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნის მოსაპოვებლად, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი არსებითად დაკნინდება.

შესაბამისად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი არაკონსტიტუციური ქმედება შეიძლება გახდეს იმპიჩმენტის საფუძველი. იმპიჩმენტი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოხატულება, არამედ იმგვარი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ყველაზე სერიოზულ, არაკონსტიტუციურ ქმედებებს შეიძლება მიემართებოდეს, როდესაც ზიანი კონსტიტუციური წყობილებისთვის იმდენად „აუტანელ“ მასშტაბებს აღწევს, რომ თანამდებობის პირის ვადის ბოლომდე მოცდა შეუძლებელია.

გამომდინარე აქედან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს პრეზიდენტის ქმედებების “არაკონსტიტუციურობა” იმპიჩმენტისთვის საკმარისი სერიოზულობის სტანდარტით. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი გადაწყვეტილება უნდა ამბობდეს არა მხოლოდ იმას, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოვე უნდა აფასებდეს რამდენად უნდა იყოს პრეზიდენტის შესაძლო არაკონსტიტუციური ქმედება მისი იმპიჩმენტის წესით გადაყენების საფუძველი.

იმის თაობაზე, რომ იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის (განსაკუთრებით, პრეზიდენტის) გადაყენებისთვის კონსტიტუციის “ჩვეულებრივი” დარღვევა არ კმარა, კონსტიტუციური წარდგინების ავტორები არაფერს ამბობენ, თუმცა დუმილს არღვევენ საკუთარ საჯარო ნაშრომებში.¹³

მაგალითისთვის, კონსტიტუციური წარდგინების ერთ-ერთი თანაავტორი, გიორგი კახიანი თავის სადისერტაციო ნაშრომში “საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი” აღნიშნავს, რომ საიმპიჩმენტო ქმედებას, ე.წ. კონსტიტუციურ დელიქტს იმპიჩმენტის მიზნებისთვის აქვს კონკრეტული შეფასების სტანდარტები და მხოლოდ ამ სტანდარტების დაკმაყოფილების შემდგომ შეიძლება ვისაუბროთ ამ ტიპის კონსტიტუციური “სამართალდარღვევის” არსებობაზე. “კონსტიტუციის დარღვევის” არსებობა არ არის საკმარისი, არამედ უნდა შეფასდეს: (1) დამრღვევი სუბიექტი; (2) დარღვევის ობიექტი - დარღვევა უნდა ხელყოფდეს კონსტიტუციის დაცულ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას; (3) ბრალეულობა - დარღვევა უნდა მოხდეს ბრალეულად, კონსტიტუციური წესრიგისა და ღირებულებების განზრახ ან გაუფრთხილებლად ხელყოფის მიზნით; (4) ობიექტური მხარე - უნდა შეფასდეს ის ქმედება/უმოქმედობა, რომელიც პოტენციური “დარღვევა” იმპიჩმენტის მიზნებისთვის.

სხვაგვარად, კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა არ შეიძლება გახდეს იმპიჩმენტის საფუძველი, არამედ მან უნდა გაიაროს “სერიოზულობის” ის ტესტი, რაც საკმარისია პირის თანამდებობიდან გადასაყენებლად იმპიჩმენტის ინსტიტუტის სულისკვეთების გათვალისწინებით. ნიშანდობლივია, რომ ვენეციის კომისიას მსგავსი განმარტება აქვს გაკეთებული საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, სადაც იმპიჩმენტთან მიმართებით აღნიშნავს, რომ: “იმპიჩმენტი შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც სისხლისსამართლებრივ ბრალდებას, ასევე კონსტიტუციის დარღვევას... რადგანაც იმპიჩმენტის პროცედურა გულისხმობს როგორც

¹³ ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი სახელმწიფო მონყობის სამართალი, იურიდიული სახელმძღვანელოების სერია RES PUBLICA, თბილისი, 2019, გვ. 172. ავტორის, ნააზრევიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ იმპიჩმენტის მიზნებისთვის “კონსტიტუციის დარღვევა” სხვა მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე, მაგალითად, კომპეტენციების თაობაზე კონსტიტუციური დავის ან/და სხვა მიზნებისთვის.

პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ პასუხისმგებლობას, არ არის აუცილებელი, რომ “corpus delicti” და “კონსტიტუციის დარღვევა” განიმარტოს დეტალურად. მცირე მნიშვნელობის ქმედებები, დიდი ალბათობით, არ იქნება მხარდაჭერილი პარლამენტის უმრავლესობის მიერ. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, ორივე საფუძველთან მიმართებით დაემატოს სიტყვა “სერიოზული”.¹⁴

3.2 იმპიჩმენტისთვის აუცილებელი კონსტიტუციის დარღვევის შესაძლო კრიტერიუმები

როგორც აღინიშნა, საიმპიჩმენტო ქმედება, “კონსტიტუციის დარღვევა” უნდა შეფასდეს კონკრეტული კრიტერიუმებით, რათა მიაღწიოს “სერიოზულობის” იმ მასშტაბს, რომ იქცეს თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საფუძველი.

ამ კრიტერიუმების თაობაზე, რიგ შემთხვევებში, უშუალოდ კონსტიტუციაშია მითითებული, რიგ შემთხვევაში კი ეს გამომდინარეობს კონსტიტუციიდან და იმპიჩმენტის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნებიდან. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ კონსტიტუციის “უხეში” დარღვევა შეიძლება გახდეს იმპიჩმენტის საფუძველი (მაგალითად, ლიეტუვის კონსტიტუციის 86-ე მუხლის მიხედვით იმპიჩმენტის საფუძველია კონსტიტუციის ან კონსტიტუციური ფიცის უხეში დარღვევა)¹⁵, ზოგიერთ შემთხვევაში კი დარღვევის სერიოზულობის მასშტაბები გამომდინარეობს არა კონსტიტუციის ტექსტიდან, არამედ კონსტიტუციის ლოგიკიდან, მისი სულისკვეთებიდან, რაც შემდგომში შეიძლება ქვეყნის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დასაზუსტებელი გახდეს. მაგალითად, სამხრეთ კორეის კონსტიტუციის 65-ე მუხლის მიხედვით, იმპიჩმენტის საფუძველია თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის ან სხვა აქტების დარღვევა.¹⁶ სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომში მოუხდა კონსტიტუციის ამ ჩანაწერის განმარტება, რა ქმედება შეიძლება ჩათვლილიყო საკმარის დარღვევად იმპიჩმენტის მიზნებისთვის.

საქართველოს კონსტიტუცია მიეკუთვნება მეორეს. სახელდობრ, კონსტიტუცია იმპიჩმენტის ან იმპიჩმენტის მაგვარი ინსტრუმენტების გამოყენებას აფუძნებს ტექსტობრივად გამოუხატველ ელემენტებს. სანიმუშოდ, ჩვენ კონსტიტუციაში ვერ შევხვდებით ტერმინებს როგორცაა “კონსტიტუციისა და კანონის უხეში დარღვევა”, ან “მძიმე დანაშაულის ნიშნების არსებობა”, ხოლო დეპუტატებთან მიმართებით, “სასამართლოს

¹⁴ Strasbourg, 15 October 2010 Opinion no. 543/2009 CDL-AD(2010)028 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) FINAL OPINION ON THE DRAFT CONSTITUTIONAL LAW ON AMENDMENTS AND CHANGES TO THE CONSTITUTION OF GEORGIA. Para. 30.

¹⁵ Lithuania 1992 (rev. 2006), article 86. https://www.constituteproject.org/constitution/Lithuania_2006

¹⁶ CONSTITUTION OF THE REPUBLIC OF KOREA, Amended by Constitution No. 10, October 29, 1987, article 65.

გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ბრალდებაში” და ა.შ. მიუხედავად ამისა, ეს კრიტიკრიუმები არსებობს.

სანიმუშოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაში “ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” განმარტავს, რომ პირის დამნაშავედ ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის მიზნებისთვის (პარლამენტის წევრის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტისთვის) აქვს სხვა დატვირთვა, ვიდრე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიზნებისთვის (ნებისმიერი გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე):

“22. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მოაზრებული სამართალდარღვევების წრე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებათა შინაარსისაგან, რომლებიც ითვალისწინებს დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის უფლებათა დაცვის გარანტიებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის ანალოგიურად, მიუთითებენ პირის დამნაშავედ ცნობის ფაქტზე, თუმცა დასახელებულ დებულებებში მოაზრებული სამართალდარღვევები შესაძლოა არ იყოს იდენტური. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ძირითადი უფლების დამდგენი დებულებებია, რომელთა მიზანს წარმოადგენს, დაიცვას პირი დაუსაბუთებელი დევნისაგან ნებისმერი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც თავისი არსით, ბუნებითა და პასუხისმგებლობის ზომის სიმძიმის გათვალისწინებით, კონსტიტუციის მიზნებისათვის დანაშაულად იქნება მიჩნეული, ხოლო, 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ამავე დროს, ქმნის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობასა და მასშტაბს - ითვალისწინებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს. ყველა სამართალდარღვევა, რომელთან დაკავშირებით დევნის განხორციელებისას პირი საჭიროებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილ გარანტიებს, შეიძლება არ იყოს ისეთი ხასიათის, რომლის ჩადენაც არ არის თავსებადი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელებასთან.”¹⁷

სხვა სიტყვებით, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის სიტყვებში “კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ” ამოიკითხა ის მნიშვნელობა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ მძიმე (არა სისხლისსამართლებრივი, არამედ კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობით) დანაშაულის ჩადენა ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ტექსტი ექსპლიციტურად ამას არ შეიცავს. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განმარტება გამომდინარეობს სწორედ ინსტიტუტისა და კონსტიტუციის მთლიანი ლოგიკიდან.

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/2/1473 საქმეზე “ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. პარ. 22.

რადგანაც საქმე ეხება არჩევნების გზით არჩეული, ხალხის ნების გამომხატველი პირის, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას, მისი სამართლებრივი საფუძველი უნდა აკმაყოფილებდეს “სერიოზულობის” დამატებით კრიტერიუმს, რომელიც კონსტიტუციაში არ წერია, მაგრამ მისი სულისკვეთებიდან გამომდინარეობს.

ანალოგიურად, იმპიჩმენტის შემთხვევაშიც, კონსტიტუციის დარღვევის სერიოზულობა და საკმარისობა იმპიჩმენტის მიზნებისთვის უნდა გამომდინარეობდეს ამ ინსტიტუტის სულისკვეთებიდან და მისი გავლენიდან ხალხის მიერ გამოხატულ პოლიტიკურ ნებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმპიჩმენტის სუბიექტი პირდაპირი წესით არჩეული, უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე თანამდებობის პირი - სახელმწიფოს მეთაურია.

იმპიჩმენტის სამართლებრივი ბუნების, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებისა და კონსტიტუციის სულისკვეთებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია პირობითად გამოვყოთ ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საიმპიჩმენტო ქმედება:

3.2.1 კონსტიტუციის დარღვევის სერიოზულობა

იმპიჩმენტი არის “თანამდებობის პირის ქმედების ნაციონალური გამოძიების მეთოდი”¹⁸. რადგანაც იმპიჩმენტი ფუნდამენტურ გავლენას ახდენს კონსტიტუციური ხელისუფლების სისტემაზე და შესაბამისად, ხალხის ნებაზე, მას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ყველაზე მძიმე სახელმწიფო პოლიტიკური დანაშაულები/გადაცდომები, რომლებიც აზიანებს/საფრთხეს უქმნის მთლიანად სახელმწიფოს სისტემას.¹⁹

სხვაგვარად, საიმპიჩმენტო ქმედება უნდა იყოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის გადაცდომა, და არა ჩვეულებრივი “არაეფექტურობა” (maladministration). სხვადასხვა განსაზღვრებით ეს შეიძლება იყოს „დიდი დანაშაული კონსტიტუციის წინაშე“; „პოლიტიკური დანაშაული ქვეყნის წინაშე“; „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“; „დიდი დანაშაული მთავრობის წინააღმდეგ“.²⁰

როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ნიქსონის წინააღმდეგ წამოიწიეს იმპიჩმენტის პროცედურა, იურიდიულ კომიტეტს დაევალა იმპიჩმენტის სტანდარტების სისტემატიზაცია. კომიტეტმა დაასკვნა: “იმპიჩმენტი არის კონსტიტუციური პასუხი სახელმწიფო სისტემის წინააღმდეგ მიმართულ სერიოზულ გადაცდომებზე... ეს არის კონსტიტუციური გადაცდომები, რომლებიც ძირს უთხრის ხელისუფლების სტრუქტურას, ინსტიტუტის ერთიანობასა და თვით კონსტიტუციას... რადგანაც იმპიჩმენტის პროცესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერის პოლიტიკურ ნებაზე, ქმედება უნდა იყოს სერიოზულ წინააღმდეგობაში კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებასთან.”²¹

¹⁸ ალექსანდერ ჰამილტონი, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიღების დებატები. The Federalist No. 65 at 331 (Gary Wills ed. 1982).

¹⁹ Memorandum Regarding Standards For Impeachment, October 2, 1998. <https://shorturl.at/qtPS4>

²⁰ იქვე.

²¹ Impeachment Inquiry 26. <https://shorturl.at/qtPS4>

საინტერესოა აგრეთვე სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საიმპიჩმენტო ქმედების შეფასების სტანდარტებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კორეის კონსტიტუციის ტექსტი ჩვენი კონსტიტუციის ანალოგიურად არ უსვამს ხაზს, რომ კონსტიტუციის დარღვევა უნდა იყოს სერიოზული,²² 2004 წელს, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას, სასამართლოს მოუწია მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთება.

სამხრეთ კორეის კონსტიტუცია ქვეყნის პრეზიდენტს ანიჭებს რეფერენდუმის დანიშვნის უფლებამოსილებას მხოლოდ კონკრეტული საფუძვლების არსებობისას. როდესაც სახეზეა: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დიპლომატიის, ეროვნული უსაფრთხოების, გაერთიანების და ეროვნული ღირსების საკითხებზე. პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუციის დანაწესები და დანიშნა რეფერენდუმი კონსტიტუციით გათვალისწინებული საფუძვლების დარღვევით - საკუთარი მხარდაჭერისა და ნდობის ასამაღლებლად. საკონსტიტუციო სასამართლომ უპირველეს ყოვლისა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა სახეზე იყო, თუმცა ეს დარღვევა მოცემულ შემთხვევაში არ აღწევდა იმ მასშტაბს, რომ იგი გადაეყენებინათ იმპიჩმენტის გზით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, თითოეული დარღვევა უნდა შეფასებულიყო პროპორციულობის პრინციპით - რამდენად არის კონკრეტული თანამდებობის პირის გადაცდომა საკმარისად სერიოზული, რომ გაამართლოს მისი თანამდებობიდან მოხსნა. პრეზიდენტის გადაცდომის სიმძიმე უნდა შეფასდეს კონსტიტუციური წესრიგის დაცვის პერსპექტივიდან - რამდენად დიდი ზიანი მიაყენა მისმა ქმედებამ კონსტიტუციურ წესრიგს. იმპიჩმენტი უნდა იყოს აუცილებელი ზომა ამ წესრიგისთვის მიყენებული ზიანი გასასწორებლად. „კონსტიტუციური წესრიგს“ კი სასამართლომ გაუთანაბრა „თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგი“.²³

მსგავსად ამისა, 2021 წელს ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პრეზიდენტის ქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ არღვევდა კონსტიტუციის დანაწესებს, არ აღწევდა დარღვევის სერიოზულობის იმ მასშტაბს, რაც გაამართლებდა თანამდებობიდან მის მოხსნას. სახელდობრ, ალბანეთის პრეზიდენტმა გადაუხვია თავის კონსტიტუციურ ვალდებულებას და არ დანიშნა/გადაავადა საპარლამენტო არჩევნები იმაზე მითითებით, რომ ოპოზიცია ბოიკოტში იყო და ამგვარ პირობებში ჩატარებული არჩევნები დააზიანებდა პოლიტიკურ პლურალიზმს და ზოგადად დემოკრატიულ პროცესს. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა არა მხოლოდ ის, დაირღვა თუ არა კონსტიტუცია, არამედ, რამდენად ქმნიდა ეს დარღვევა იმპიჩმენტის საფუძველს. მეტიც, ამისთვის საკონსტიტუციო სასამართლომ ვენეციის კომისიასაც კი მიმართა სასამართლოს მეგობრის მოსაზრების

²² CONSTITUTION OF THE REPUBLIC OF KOREA, Amended by Constitution No. 10, October 29, 1987, article 65.

²³ Law, Politics, and Impeachment: The Impeachment of Roh Moo-hyun from a Comparative Constitutional Perspective Youngjae Lee, 2005

მისაღებად.²⁴ საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ გაამართლა პრეზიდენტი და არ დააკმაყოფილა პარლამენტის კონსტიტუციური სარჩელი.²⁵

3.2.2 კონსტიტუციის დარღვევის განზრახვა თუ დარღვეული ტრადიცია/პოლიტიკური შეთანხმება

კონსტიტუციის დარღვევისას უნდა შეფასდეს პრეზიდენტის განზრახვა - მისი ფსიქიკური დამოკიდებულება საიმპიჩმენტო ქმედებისა და ამ ქმედების მანერე შედეგის მიმართ. სხვაგვარად, პრეზიდენტს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს დარღვევის ობიექტური მხარე - მისი სეროზული წინააღმდეგობა კონსტიტუციასთან და განზრახ სურდეს კონსტიტუციურად მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა.

მაგალითისთვის, 2004 წელს, ლიეტუვის პრეზიდენტს როლანდას პაკსასს ლიეტუვის სეიმმა იმპიჩმენტი გამოუცხადა. იმპიჩმენტის მიზეზი იყო პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევით მოქალაქეობის მინიჭება რუსი ბიზნესმენისთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა პარლამენტის წარდგინება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პაკსასმა განზრახ დაარღვია კონსტიტუცია, კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებისას იმოქმედა წმინდა პირადი ინტერესებით და არა სამართლებრივი მოსაზრებებით²⁶.

2019 წლის იანვრიდან 2023 წლის 16 აგვისტომდე საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობას საგარეო ვიზიტის განხორციელების თხოვნით 79-ჯერ მიმართა. 2023 წლის 28 აპრილამდე, თითქმის 5 წლის განმავლობაში პრეზიდენტის მიერ გაგზავნილი თითქმის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა²⁷ გარდა ერთისა. ვიზიტების მრავალფეროვნება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის კონსტიტუციურ ტრადიციად ყალიბდებოდა თანხმობის მოთხოვნა ქვეყნის გარეთ ნებისმიერ ვიზიტზე. კერძოდ, ნებართვაა მოთხოვნილი ყველა ვიზიტზე დაწყებული სპორტული თამაშების გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობიდან, დასრულებული ევროპის საბჭოს თავჯდომარე ქვეყნის სახელით სიტყვით გამოსვლით და ამ რანგში ოფიციალური შეხვედრის გამართვით. ეს მიუთითებს, რომ კონსტიტუციის მოთხოვნების მიღმა, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება ქვეყნის დატოვებისას მთავრობის თანხმობის მოპოვებაზე, მიუხედავად იმისა რა იყო ვიზიტის მიზანი. ვითარება შეიცვალა 2023 წლის 16 ივნისიდან, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტმა 11 მოთხოვნილი თანხმობიდან 11 უარი მიიღო (ვიზიტები იყო განსაზღვრებული მიზნით, მაგ. ერთერთი შეეხებოდა ნიკო ფიროსმანის

²⁴ EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) ALBANIA AMICUS CURIAE BRIEF ON THE COMPETENCE OF THE CONSTITUTIONAL COURT REGARDING THE VALIDITY OF THE LOCAL ELECTIONS HELD ON 30 JUNE 2019.

²⁵ Albania court overturns president's impeachment <https://shorturl.at/lsER8>

²⁶ CASE OF PAKSAS v. LITHUANIA (Application no. 34932/04), 6 January 2011.

²⁷ ექვს შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტმა უკან გაითხოვა მოთხოვნა საერთაშორისო ვიზიტზე;

გამოფენის გახსნის (ცერემონიალს).²⁸ ეს ნათლად აჩვენებს მთავრობის ნებას, რომ მას აღარ ქონდა “შეთანხმების” გაგრძელების სურვილი.

პრეზიდენტის შემხვედრ მოქმედებას წარმოადგენდა მთავრობის მიერ უარყოფილ ერთ-ერთ ვიზიტზე წასვლა. ამავე დროს პრეზიდენტმა ორი ვიზიტი განახორციელა მთავრობისთვის თანხმობის მოთხოვნის გარეშე.²⁹ ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა კონსტიტუცია არ მოითხოვს პრეზიდენტის ყველა საგარეო ვიზიტზე მთავრობის თანხმობას, თავისთავად მთავრობის თანხმობის უგულებელყოფა ან მთავრობის თანხმობის მიუღებლად იმგვარი ვიზიტის განხორციელება, რომელიც არ იჭრება მთავრობის კონსტიტუციურ კომპეტენციაში ვერ ჩაითვლება კონსტიტუციის განზრახ დარღვევის უაპელაციო საფუძვლად. სტატისტიკა მიუთითებს, რომ პრეზიდენტი ყოველთვის იცავდა ამ დამკვიდრების პროცესში მყოფ ტრადიციას ან/და “შეთანხმებას” მანამ, სანამ მთავრობამ არ დაიწყო მისი აბსოლუტურად ყველა მოთხოვნის, განურჩევლად ვიზიტის შინაარსისა, უარყოფა და ამ გზით პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებაში განზრახ ხელშეშლა. ამ ფონზე, პრეზიდენტის მიერ თანხმობის გამოთხოვა და შემდგომ ამ უარის უგულებელყოფა, ხოლო დანარჩენი ვიზიტების თანხმობის მოთხოვნის გარეშე განხორციელება თავისთავად, ვერ ჩაითვლება ბრალეულ ქმედებად იმპიჩმენტის მიზნებისთვის.

3.3.3 ზიანი სახელმწიფოსა და ინსტიტუტს

საიმპიჩმენტო ქმედების დამახასიათებელი ელემენტი უნდა იყოს “ზიანის მიყენება” სახელმწიფოს, კონსტიტუციური ნყობილებისა და თავად პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის. ამერიკულ კონსტიტუციონალიზმში, ზიანის ელემენტი შემოვიდა ინგლისური საერთო სამართლიდან, სადაც საიმპიჩმენტო დანაშაულები და გადაცდომები მიმართული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს წინააღმდეგ.³⁰ ანალოგიურად, იგივე სტანდარტი გაიმეორა პრეზიდენტი ნიქსონის წინააღმდეგ მიმდინარე იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში იურიდიულმა კომიტეტმა, როდესაც აღნიშნა, რომ “საიმპიჩმენტო ქმედების კრიტიკული ელემენტი არის პოტენციური ზიანი, რაც სახელმწიფოს შეიძლება მოუტანოს... იმპიჩმენტი ყოველთვის გამოიყენებოდა იმგვარი ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ “ხელისუფლების სისტემას”.³¹

სხვაგვარად, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა უნდა წარმოადგენდეს იმგვარი მნიშვნელობის საჯარო/პოლიტიკურ გადაცდომას, რომელიც კრიტიკულ საფრთხეს უქმნის

²⁸ დეტალურის სტატისტიკისთვის [იხ. ბმული](#)

²⁹ საქართველოს პარლამენტის 80 დეპუტატი, სწორედ ამ სამ ვიზიტს ასახელებს იმპიჩმენტის საფუძვლად.

³⁰ Raoul Berger, *Impeachment: The Constitutional Problems*, 67-73 (1973).

³¹ *Impeachment of Richard M. Nixon, President of the United States, Report by the Staff of the Impeachment Inquiry, House Comm. on the Judiciary, 93d Cong. 2d Sess. at 5 (Feb. 1974)*

<https://shorturl.at/qtPS4>

როგორც სახელმწიფოს, ასევე კონსტიტუციურ წყობას და თავად პრეზიდენტის ინსტიტუტის ერთიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები აპელირებენ იმაზე, რომ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტებს ჰქონდა საზიანო ეფექტი ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის,³² საერთაშორისო გამოხმაურებები საპირისპიროს ამტკიცებს. სახელდობრ, პრეზიდენტის კამპანიას მოჰყვა საქართველოს ევროპული მომავლის მხარდამჭერი არაერთი განცხადება როგორც ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებისგან,³³ ასევე ევროკავშირის სტრუქტურების უმაღლესი წარმომადგენლებისგან.³⁴ პრეზიდენტის ქმედებები მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ისტორიული არჩევნის - ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების ხელშეწყობას.

3.3.4 პრეზიდენტის იმპიჩმენტი - განსხვავებული სტანდარტი

პრეზიდენტის იმპიჩმენტი, თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ყველა თანამდებობის პირის იმპიჩმენტისგან, არა მხოლოდ პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსის, არამედ იმ უმაღლესი ლეგიტიმაციის გამო, რომელსაც პრეზიდენტი უშუალოდ ხალხისგან იღებს.

საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის “ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი”. იგი არა მხოლოდ კონსტიტუციური სტატუსით, არამედ პირდაპირი არჩევნებით არჩევის გზით გამოხატავს ხალხის ნებას (popular will), რომლის იმპიჩმენტის გზით ანუღიერებისათვის გაცილებით მაღალი სტანდარტი უნდა იყოს გათვალისწინებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა თანამდებობის პირის იმპიჩმენტისთვის. ეს კონსტიტუციური სტანდარტი გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც პრეზიდენტი, საქართველოს მსგავსად (ყოველ შემთხვევაში, ახალი არაპირდაპირი წესით არჩევამდე) არის ერთადერთი ფიგურა, რომელიც საერთო ეროვნულ პირდაპირ ლეგიტიმაციას ფლობს და მისი იმპიჩმენტის წესით გადაყენება მოითხოვს გაცილებით სერიოზულ გადაცდომას, იმდენად “აუტანელს”, რომ შეუძლებელი იყოს საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე ჩამთავრება.

აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ როგორც პრეზიდენტის, ასევე სხვა თანამდებობის პირების იმპიჩმენტის საფუძვლები ერთი და იგივე

³² შალვა პაპუაშვილი - პრეზიდენტის ვიზიტები დამაზიანებელია - ნაცვლად იმისა, რომ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებაზე უპირობო განცხადებები მოგვესმინა, საყვედურნარევი განცხადება მოვისმინეთ, რომ საქართველომ რუსეთს სანქციები უნდა დაუნესოს <https://rb.gy/09j5o>

³³ ემანუელ მაკრონი: “მქონდა ძალიან სასარგებლო შეხვედრა”... "ვისაუბრეთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე", მხარს ვუჭერ სალომე ზურაბიშვილის ბრძოლას დემოკრატიის, კანონის უზენაესობის მიმართულებით, რაც შეესაბამება ქართველი ხალხის ნებას”

https://twitter.com/Zourabichvili_S/status/1699329587669279118

³⁴ შარლ მიშელი: “ვინონებ სალომე ზურაბიშვილის ძალისხმევას ევროკავშირთან დაახლოების გზაზე” <https://twitter.com/CharlesMichel/status/1697598437951197340>

ტექსტით წერია კონსტიტუციაში, “high crimes and misdemeanors” პრეზიდენტის შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოსა და კონსტიტუციური წყობის წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე სერიოზულ გადაცდომებს, ხოლო, მაგალითად მოსამართლეების მიმართ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტი დამდგარა ისეთი ქმედებებისთვის, როგორცაა: სერიოზული ეთიკური გადაცდომა, ცრუ განცხადებების გაკეთება, დავის მხარის მიმართ ფავორიტიზმის გამოჩენა, სიმთვრალის მდგომარეობაში უფლებამოსილების განხორციელება.³⁵

3.3.5 “საზოგადოებრივი ნდობის ღალატი”

საიმპიჩმენტო ქმედების მნიშვნელოვანი ელემენტია თანამდებობის პირის მიერ “საზოგადოებრივი ნდობის ღალატი” (betyaral of public trust), რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრეზიდენტის, როგორც ხალხის ნდობით აღჭურვილი უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე პირის შემთხვევაში.³⁶

ანალოგიური განმარტება აქვს გაკეთებული სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წელს პაკ კინ ჰე-ს იმპიჩმენტის საქმეზე. იმპიჩმენტის საფუძვლად იქცა კორუფციული სკანდალი, რომელშიც პრეზიდენტი გაეხვა, რასაც შედეგად მოჰყვა მასობრივი პროტესტები და პრეზიდენტის რეიტინგის კრიტიკულ, 4%-მდე ვარდნა. საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტი დამნაშავედ ცნო და აღნიშნა, რომ “კონსტიტუციის დამრღვევი ეს ქმედებები არის საზოგადოებრივი ნდობის ღალატი, შესაბამისად, კონსტიტუციის დაცვის მიზნით პრეზიდენტის გადაყენება მოცემულ შემთხვევაში გამართლებულია”.³⁷

სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში, პრეზიდენტის ქმედებები ვერ შეფასდება საზოგადოების ნდობის ღალატად. პირიქით, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სწორედ პრეზიდენტი გამოდიოდა ისეთ სახელისუფლებო კონსტიტუციურ ინსტიტუტად, რომელიც იცავდა ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ნებას, მათ შორის, კონსტიტუციურად განმტკიცებულს, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით.

დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ პრეზიდენტს საქართველოს კონსტიტუცია არ დაურღვევია და იგი საკუთარი კონსტიტუციური მანდატის ფარგლებში

³⁵ Impeachment and Removal of Judges: An Explainer. <https://shorturl.at/oqsK6>

³⁶ What Does "High Crimes and Misdemeanors" Mean? c Copyright, Joseph M. Bessette and Gary J. Schmitt, December 15, 1998 <https://shorturl.at/fhsJZ>

³⁷ A Closer Look at the Korean Constitutional Court's Ruling on Park Geun-hye's Impeachment, 2017 <https://shorturl.at/aGHX2>

მოქმედებდა. ამავე დროს, თუნდაც მმართველი პარტიის მიერ მოყვანილი ფაქტები შეფასდეს კონსტიტუციის დარღვევად, ეს შეიძლება გახდეს მხოლოდ კომპეტენციის დავის და არა საიმპიჩმენტო დავის საფუძველი.

ამდენად, მიგვაჩნია რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა გასცეს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის დადებითი დასკვნა.

ნიშანდობლივია, რომ ამ საქმეს მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ეფექტი გააჩნია. უახლოეს კვირებში საქართველო ელოდება ევროკავშირის გადანყვეტილებას კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. ამ ფონზე, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის მიმდინარეობა ნეგატიურად იმოქმედებს კანდიდატის სტატუსის მოპოვების შანსზე.